№ 144
ივლისის 4, პარასკევი 1903 წ.
1877

ივერია

1903
ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 144
ივლისის 4, პარასკევი 1903 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია პირველ ივლისიდან «ივერია» აღარ გაეგზავნება.

პირველ ივლისიდან წლის დამლევამდე
გაზ. „ივერია“
ჰღირს 6 მანეთად.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით-—7 მ.25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით —5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

ისყიდება სურამში
იუნკერთა სასწავლებლის პირდაპირ მშვენიერი სააგარაკო ადგილები
„საჩხეიძო“

თვისის მდებარეობით და ჰავით ჰსჯობია ყველა საავარაკო ადგილებს. დასარწმუნებლად ვსთხოვ მყიდველებს ინახულონ ადგილობრივ.

მამული მდებარეობს შოსის გზის პირად, შიგ მამულში გაყვანილია ფართო გზები, მოაგარაკეთა სასეირნოდ დატოვებულია ორი მოზდილი „პარკი“ **ფიჭვისა** და **მუხისა**, პირობების გასაგებათ შეიძლება მიჰმართოთ:

სურამში: კნეინა ევა გიორგის ასულს ჩხეიძისას,

ტფილისში: „ივერიის“ რედაქციის კანტორას და ნოტარიუსს მღებროვის კანტორაში ერევნის მოედანი, სახლი № 2). (30—15).

საწყობი ქაღალდის
დიტიატკოვსკის ამხანაგობის
მოსკოვი 1882 წ.
ოვოგოროდი 1896 წ.
საწერ-ქაღალდის ქარხნებისა ტფილისში

ქაღალდი საფოსტო, საწერი, წიგნის საბეჭდი, გაზეთის საბეჭდი და საზოგადოდ ყოველგვარი საბეჭდი ქაღალდი ყველა ნომრისა, აგრეთვე ალბომის ქაღალდი ყველა ფერისა, თუთუნის სახვევი, ჩაის სახვევი, მუნდშტუკისა, საზოგადოდ საქონლის სახვევი და სამანუფაქტურო, შაქრის სახვევი და კარდონისა.

მაღაზია საკანცელარიო, სამწერლობო, სახაზავ და სამოწაფეო იარაღ-კუთვნილებათა. საქონელი **ფაბრიკის ფასად.**

ადრესი წერილებისა: ერევნის მოედანი, სახლი ტფილსის საკომერციო ბანკისა.

ტელეგრამებისათვის: Тифлисъ. Дитятковское Товарищество.

ტელეფონი № 66. (30—6.—8)

კერძო სამკურნალო
ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

ნიკოლოზის ქუჩიდან გადავიდა ახალ სადგომში, ველიკოკნიაჟესკის ქუჩაზე, (მეცხრე სახლი კუკიის ხიდიდან) აბრამოვის სახლში № 9,მიხაილოვის ქუჩიდან-კი № 34

სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(3—6.—3).

რადგან კბილის ექიმი
ი. ა. ახალშენიშვილი
1 ივნისიდგან 10 აგვისტომდე სოფლად იქმნება, ავადმყოფების მიღება ტფილისში ამ დრომდე შეწყვეტილი იქმნება.

(5—4).

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო-ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. ზ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ჯ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ზ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ლ. ვ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ვ. ხ. ლევი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროთერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბანინა** 7—7½ საათამდის. ქალისა და საზებიო ავადმყოფობისა.

ზ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ზ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.

ს. ტ. არშვანიტაკი. 11—1 ს. გათებსსაუკე ფლ-ში მსურველთ ,,მასსაჟს'', აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

კერძო სამკურნალო
ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა
კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდან-კი № 34.
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

მ. დ. ლამბაშიძე—ორშ., ოთხშ.. და შაბათ. 10—11.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 11—1 ს.

მ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—სამშაბათობით 11—12 ს.

ზრ. ვ. ხობოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

საღამოთი:

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით. (წ.)

46—8 ტელეფონი № 274

ტფილისი

✦ კვირას, 29 ივნისს, პეტრე-პავლობის დღეს, ბერძენთა წმ. ეკატერინეს ტაძარში ბერძნულად სწირა სამრევლო სკოლების მეთვალყურემ დეკანოზმა ვოსტორგოვმა. ბერძნულად გალობდა სამრევლო სასწავლებელთა გუნდი, ბათუმის სამრევლო სკოლის მასწავლებლის ბ-ნ კუცო-იანოპულოს ლოტბარობით.

✦ ქალაქის გამგეობამ დაასრულა შედგენა და განხილვა მომავალის წლის სავარაუდო შემოსავლისა. ქალაქის გამგეობას იმედი აქვს, რომ 1904 წელს 1,460,570 მანათი შემოუვა. საყურადღებოა, რომ ქალაქს თანდა-თან აკლდება ზოგიერთა შემოსავალი, მაგალითად: გარდასახადი სასწორებისა და საწყაოების დაღ-დასმისათვის, საყასბოებში საქონლის დაკვლის ბაჟი და ქალაქის ლაბორატორიის შემოსავალი. ამ გარემოების გამორკვევა ქალაქის გამგეობამ მიანდო თავის წევრს თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილს.

✦ 8 ივლისს დანიშნულია სხდომა კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა.

✦ ხალხის ჯანმრთელობის მზრუნველი კომისია ამ ზაფხულს აღარ იმოქმედებს, რადგანაც მისი წევრები სხვაგან მიდიან. კომისია სწორედ იმ დროს იცილებს თავიდგან თვის მოვალეობას, როდესაც ქალაქისათვის უფრო საჭიროა მისი მოქმედება.

✦ ტფილისის გუბერნატორმა უკვე დაამტკიცა ახალი ნიხრი ხორცისა, რომლითაც თითო კაპეიკი აკლდება ყოველ ხარისხის ხორცს. ამას იქით პირველის ხარისხის ხორცი ეღირება 11 კაპ., მეორისა —8 კაპ. და მესამისა—6 კაპ.

✦ 1 ივლისს ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველომ ბევრს წლიურს აბონენტს დაუკეტა ტელეფონი, რადგანაც თავის დროს გარდასახადი არ შეიტანეს. სხვათა შორის, ქალაქის წყალის მილების ქარხანასაც გუშინდლამდე დაკეტილი ჰქონდა ტელეფონი.

✦ გორის მაზრაში, სურამის მახლობლად, მთაში, ყაჩაღთა ბრბო მოსვენებას არ აძლევს თურმე გამვლელ-გამომვლელთა და სოფლის შეძლებულ მცხოვრებთ. გაჭირვებულნი არიან უფრო ჰერათხევზე მიმავალნი გორის მაზრიდან შორაპნის მაზრაში. ესევე ბრბო, როგორც ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, სურამში 26 ივნისს შეუვარდა ებრაელს თარონაშვილს, დასჭრა იგი და იმისი ორი რძალი და მოუკლა 19 წლის შვილი. 29 ივნისს ბრბო თავს დასცემია მოლითში ერთს ვაჭარს, შეუმტვრევია კარები, ვაჭარი ბერდანკით დაუჭრია და რაც მოუსწრევია, წაუღია. 30 ივნისს კიდევ ჰერათხევის გზაზე შორაპნის მაზრაში მიმავალ გიორგი ჩინჩალაძეს დასცემიან და გაუცარცვავთ. ყაჩაღების თავხედობა იქამდე მივიდა, რომ სოფელში შეძლებულებს კაცებს უგზავნიან და უთვლიან, ამდენი და ამდენი ფული გამოგვიგზავნე, თორემ ერთ ღამეს მოვალთ და სულ ერთიანად ამოგხოცავთო. ღარიბ მგზავრებს ჰერათხევის გზაზე ყაჩაღები აქამდე არას უშავებდნენ, ეხლა-კი როგორც „ცნ. ფ.“-ს ატყობინებენ, გაუცარცვავს აღარავის უშვებენ.

✦ გუშინ-წინ, 2 ივლისს, დილით, დასჭრეს ადელხანოვის ტყავის ქარხნის ერთი გამგე, მარკოზოვი. საქმე ასე მომხდარა. მარკოზოვთან მისულა მუშა და ლაპარაკი დაუწყვია. შემდეგ ამოუღია რევოლვერი და უსროლია. ტყვია მარკოზოვს მოჰხვედრია მკერდში, მაგრამ უბეში პორტსიგარი სდებია და ტყვია აღარ გაუშვია. მუშას მეორედ უსროლია და ტყვია ხელში მოურტყამს. ამ დროს დაუჭერიათ მუშა, მაგრამ ამას ერთხელ გასროლა კიდევ მოუსწრვია, თუმცა ტყვია არავის მოჰხვედრია. მსროლელი შეიპყრეს.

✦ სახელმწიფო ქონებათა და მეურნეობის სამინისტროს მიერ გამოგზავნილი ინსტრუქტორი, რომელმაც ხალხს უნდა ასწავლოს ყველისა და ერბოს კეთება, ამ ჟამად ერევნის გუბერნიაში არის, სადაც მრავალი ცხვრის ფარებია იალაღად მირეკილი. ინსტუქტორს თან დააქვს ადვილად სახმარებელი მანქანები, რომლებითაც ყველი და ერბო ადვილად კეთდება. ინსტრუქტორთან ერთად მოგზაურობს ამ საქმის კარგად მცოდნე ა. ა. კალანთარი.

✦ ჩვენ მოგვივიდა ახალი წიგნაკი პატარა ჩანგი. რომელშიაც სცენები, ლექსები და კუპლეტებია დაბეჭდილი სხვა-და-სხვა ავტორებისა: ვ. ორბელიანისა, ი. ჭავჭავაძისა, აკაკისა, რ. ერისთავისა, ნ. ბარათაშვილისა, გრ. ორბელიანისა, მ. გურიელისა, ი. დავითიშვილისა, ცახელისა, გრ. აბაშიძისა, ვაჟა-ფშაველისა, შ. მღვიმელისა და სხვ. გამომცემელს შახბარათოვს, რასაკვირველია, გამომცემლის არც ერთის ავტორის ნება-რთვა არ დასჭირდებოდა. წიგნაკი შეიცავს 64 პაწია გვერდს და ღირს სამი შაური.

✦ რჩევა ბრმათა სამზრუნველოს კავკასიის განყოფილებისა გთხოვს გამოვაცხადოთ, რომ რჩევამ გახსნა ყულაბები, რომლებშიაც შეწირულებანი გროვდებოდა სხვა-და-სხვა დაწესებულებთა, სავაჭრო მაღაზიებსა და კერძო კაცთა სადგომებში და აღმოჩნდა: ქალაქის საკრედიტო საზოგადოების ყულაბში 16 მან. 29 კ. კბილის ექიმის ნ. კამოევისა—22 მან. 13 კ., კავკასიის სააფთიაქო ამხანაგობისა — 5 მ 19 კ., თამბაქოს მაღაზია „ივერიისა“ 2 მ. 50 კ., ალშვანგის მაღაზიისა—74 კ., მეიზელსონისა—10 მ., აფიცერთა ეკონომიურს საზოგადოებისა—4 მ. 5 კ., მიულმანისა—1 მ. 45 კ., ცატუროვისა—3 მ. 50 კ., გულასპოვისა—5 მ. 60 კ., ჩარახჩიანისა — 80 კ., დონერ და ლეიტცისა —3 მ. 41 კ. შაქიევისა—11 მ. 17 კ., გურგენოვისა— 54 კ., ენფიანჯიანცისა—18 მ. 29 კ., ხიდეკელისა—2 მ. 3 კ. და კლეტტისა—65 კ.

რჩევა ბრმათა სამზრუნველოს განყოფილებისა მადლობას უცხადებს ყველას, ვისაც ყულაბები ებარათ, დახმარებისათვის.

✦ 8 ივნისს, ტფილისში დაიკარგა ტფილისის მცხოვრებელი სამქო ნონიევი. რამდენისამე ხნის შემდეგ ნონიევი უნახავთ მოკლული მტკვრის პირად, ბაიაზის საბოქაულოში. ამ ბოროტ-მოქმედებაში ეჭვი მიუტანიათ ტფილისის მოქალაქე იაგორ სტეფანოვზე, ბაგრატ გაბაევზე და შაქრო ქურხულზე. ბოქაულს ყველანი დაუპატიმრებია. გამოძიები სწარმოებს.

ოსები კახეთში.

სოფელ ძველ-გავაზის (თელავის მაზრა) ახლოს, აღმოსავლეთით 5—6 ვერსის სიშორეზედ მდებარეობს, სახელმწიფო ადგილებს გარდა, სათავადო ადგილებიც. ამ სათავადო ადგილებზედ, 7—8 წელიწადია, რაც ოსები არიან დასახლებულები. პირველად გორის მაზრიდან გადმოსახლდა 10 კომლი, შემდეგ ორი-სამის წლისა კიდევ მოემატა ამ დასახლებულ ოსებს რამდენიმე კომლი, ასე, რომ შემდეგ ამათ რიცხვს ემატებოდა ახლად გადმოსახლებულ ოსთა რიცხვი.

პირველად, როდესაც ოსები გადმოსახლდნენ, მეპატრონეთაგან ეს ადგილები იჯარით აიღეს და ისე დაიწყეს აქ ხვნა-თესვა, საქონლის მოშენება და სხვა გვარი მოქმედება. ცოტად, თუ ბევრად ეს ადგილები—აკმაყოფილებს დასახლებულთ პურის მოსავლით და სხვაფრივაც. ამავე დროს დასახლებულ ოსებს ხსენებულ ადგილების მეპატრონეები იჯარასაც უმატებდნენ და ამით მუდამ წელიწადს ადგილების ქირის გადახდა უძნელდებოდათ.

ამ ბოლოს დროს კიდევ გადმოსახლდნენ ოსები, ზოგნი—გორის მაზრიდან, ზოგნი—ახალციხის მაზრიდან და დასახლდნენ ზოგნი ამ ხსენებულ სათავადო ადგილებზედ და ზოგიც სოფ. კუშტანში (სოფ. ძველ-გავაზის ახლოს), რასაკვირველია, სახელმწიფო ადგილებზედ. სოფელ კუშტანში ძალიან ცოტა მცხოვრებნი არიან, ასე ოც-და-ათ კომლამდის და სახელმწიფო ადგილები-კი ბევრი უჭირავთ. ზოგს ადგილებს ვერც-კი ჰხნავენ ხსენებულ სოფლის მკვიდრნი, რადგან მათთვის საჭირო არ არის და არც შეუძლიანთ, რომ თითო კომლმა ოცი, ოც-და-ათი დღიური მიწა მოჰხნას. ამის გამო მეტ მიწებს გარეშე სოფლის მცხოვრებნი ჰხნავენ და ისინი სარგებლობენ.

წელს, როდესაც ამ ადგილებში გადმოსახლდა რამდენიმე კომლი გორისა და ახალციხის მაზრებიდან, ამ სოფლის მცხოვრებთ გაუხარდათ, რაკი გაიგეს, ჩვენს სოფელში ოსები სახლდებიანო; გაუხარდათ იმისთვის, რომ, თუ ჩვენს ადგილებში ოსები დასახლდებიან, ჩვენ გაგვიწევენ მეზობლობას და მეგობრობასაო. სწორედ კარგიც იყო, რომ ამ ადგილებზედ ოსები დასახლებულიყვნენ. მაგრამ, როგორც სჩანს, სამუდამოდ ვერ უხდებათ აქ დასახლება. როდესაც პირველად მოვიდნენ ოსები ამ სოფლის ადგილებში, მაშინათვე იწყეს ხვნა-თესვა, საქონლის მოშენება და სხვა, მაგრამ ტყუილად. გაიგო, თუ არა ოსების ეს ამბავი სოფ. ყვარლის ნაწილის ბოქაულმა, მაშინათვე უბრძანა ოსებს, შეჩქარად და შეჩქარად გადასახლებულიყვნენ იქიდან სხვაგან. რას იზამდნენ ოსები? ბოქაულის ბრძანებას ვერ გადაუხვევდნენ და უნდა გადასახლებულიყვნენ მართლაც სადმე, სხვაგან. მაგრამ სად? ბოქაულმა ნება არ მისცა ოსებს სახელმწიფო ადგილებზედ დასახლებულიყვნენ და ისევ, თუ გადასახლდებოდნენ სადმე, სათავადო ადგილებზედ უნდა დასახლებულიყვნენ. ოსებს მეტი გზა არა ჰქონდათ, უნდა შეჰკედლებოდნენ სოფ. ძველ-გავაზის ახლოს დასახლებულს ოსებს. მართლაც ბევრი გადასახლდნენ სოფ. ძველ-გავაზის ახლოს, ოსებთან დასასახლებლად. როდესაც ესენიც მიემატნენ ამ სათავადო ადგილებზედ დასახლებულთ, მაშინ ადგილების მეპატრონეთ იჯარას მოუმატეს და თავის დროზე მოითხოვეს ადგილების ქირა. შემდეგ და შემდეგ, ადგილების მეპატრონეთ ადგილების ქირა რომ არ ემატებინა, ოსებმა გადასწყვიტეს, შეესყიდათ ეს ადგილები საერთოდ. ადგილების მეპატრონეები ამაზედ არ დასთანხმდნენ, რადგან იჯარით მამულების გაცემა უფრო ხეირს აძლევდათ. ოსებისათვის კი კარგი იყო, თუ სათავადო ადგილებს დაისაკუთრებდნენ; პირველი მით, რომ კერძო დასაკუთრებულს მამულებში, რასაც უნდათ, იმას გააკეთებდნენ, მეორე მით იყო კარგი, რომ მას ოსები თავიანთთვის ყოველისფერს გაიჩენდნენ: ეკლესიას, მღვდელს და სხვას. ეხლა კი ამას ადვილად ვერ მოახერხებენ.

მთელი ოსობა, ამ ადგილებზე დასახლებულები, შეადგენენ 100 კომლზე მეტს. ზოგიერთმა ოსმა, რომელთაც თავიანთს საზოგადოებაში ხმა ამოუღებოდათ მოიწადინეს თავიანთ საზოგადოებისათვის ეკლესიის აშენება და მღვდლის მოწვევა, ამის შესახებ ჰკითხამდნენ სხვებს, მთავრობა მოგვცემს ნებას ავიშენოთ ეკლესია და მოვიწვიოთ ჩვენთვის მღვდელი თუ არაო. სხვათა შორის ჩემთანაც მოვიდნენ ამის გასაგებათ. მე პასუხად ის ვუთხარი, რადგან სხვის ადგილებში სცხოვრობთ მამულები ნებას არ მოგცემენ ეკლესია აიშენოთ, და თუნდაც მოგცენ საბოლოვოთ თქვენ ხომ არ დაგრჩებათ და იქნება იქიდგან მეპატრონეთ აგყარონ ვადის შემდეგ მეთქი. ერთმა ოსმა მომიგო:

— ლავისაი, სენი წილიმე, ბატონო, ჩვენ-კი გულით გვინდა ეკლესია და მღვდელი.

მე მაინც ვუთხარ, ეცადეთ, ადგილები მისყიდოთ და მაშინ ნება მოგეცემათ ეკლესია აიშენოთ და მღვდელი იყოლიოთ მეთქი. სოფელსაც კარგად მოეხსენება, თუ რა მდგომარეობაში უნდა იყოს სხვისა ადგილებში იჯარით მცხოვრებელი ხალხი. სწორედ ამ ოსების ცხოვრება სხვისა ადგილებში იჯარით ასეთივე მოუხერხებელია. რამდენად კარგი იყო მკითხველო, რომ ეს ოსები, რომლებიც 100 კომლზე მეტნი არიან, სახელმწიფო ადგილებზე დასახლებულიყვნენ და მოეწყოთ ყოველივე ისე, როგორც მათ ეწადათ და მასთან მოწყობილიყვნენ, როგორც არიან მოწყობილნი სხვა დანარჩენნი სოფლის ხალხი, მ. ი. აეშენებინათ აქნობამდის ეკლესია, რომელიც აუცილებელი, სულიერი მოთხოვნილებაა ყოველ ქრისტეანებისათვის, ყოველივე ეს ოსებს ვერ

უხერხდებათ. ნეტავ რა მიზეზია, რომ ამ გადმოსახლებულ ოსებს სახელმწიფო ადგილებზედ ცხოვრების ნებას არ აძლევენ და ამავე დროს-კი სახელმწიფო გლეხებს ახლოს სათავადო ადგილებზე-კი ნება აქვთ ოსებს იცხოვრონ?!

კოტე ალაზნისპირელი.

ლუდის ხდისა და ხმარების საქმე ხევსურეთში.

ამას წინად, ლუდის ხდის აკადემიის სტუდენტი ბ-ნი რაჟდენ დათემაძე სთხოვდა ყველას, ვინცგი ოსურ, ან ფშავ-ხევსურულ ლუდის ხდისა და ხმარების შესახებ რამე ცნობები იცოდა—მიეწვდიათ მისთვის. ამ ჟამად ვაწვდი ცნობებს ხევსურულ ლუდის შესახებ. ვაწვდი ამ ცნობებს გაზეთის საშუალებით, იმ იმედით, რომ მკითხველისათვისაც ყურადღებას მოკლებული არ იქნება ეს საქმე.

ლუდს ხევსურები ხდიან მხოლოდ ქერისაგან, რადგანაც პური და სიმინდი არა გვარობს აქ. ქერი ძველი იყოს, გინდ ახალი—არა უშავს-რა, ოღონდ „გამთბარი“, ე. ი. გაუმრობელი არ უნდა იყოს. ქერს ჯერ ალბობენ წყალში, მერე აშრობენ და ბოლოს „დერდავენ“ 1) წისქვილში. დასალბობ ქერს ჰყრიან ტომრებში და ისე ალბობენ წყალში. როცა ქერი კარგად დალბება, ე. ი., როცა ქერი ადივდება, იღებენ მაშინ და ჰფენენ ფარდაგებზედ შესაშრობლად, ისე-კი, რომ მზე პირდაპირ არ დაჰხურებდეს და ერთბაშად არ შეშრეს. შემშრალი ქერი მიაქვთ წისქვილში და იქ დერდავენ.

დაფქვილ ქერს ჰყრიან დიდ „სალუდე“ ქვაბში, დაასხამენ ზედ ცივ წყალს და ისე შესდგამენ ცეცხლზედ, მოსახარშად. ქერისა და წყლის ზომა გადაკვეთილი აქვთ. ერთ წილ ქერზე სამ წილ წყალს ახმარებენ. წყალს „არაგვისასაც ხმარობენ და წყაროსასაც—ვისაც როგორ ემარჯვება, თუნდა წყლის თვისებაზე ხევსურებს ის აზრი აქვთ შემდგარი, რომ არაგვის წყალ რბილ ასა 2), წყარო მაგარ“.. ხარშვას ხევსურები კაი დროს ანდომებენ, თითქმის ნახევარ დღეს (ზამთრობით დილიდან სადამომდის, ზაფხულობით—დილიდან შუადღემდის).

როცა სამი-ოთხი თითის დადებაზე ჩაიდუღებს, ნახავენ გემოთი თუ მოხარშულია, გადმოსდგამენ ცეცხლიდან და გადააქვთ გასაწურად ტომრებში, რომლებიც ჩამოკიდებულია დიდ ხარიხაზე და ქვეშ გრძელი ნავი უდგია. ამ ნავში „გახდება“ 3) სუფთა წვენი; ტომრებში-კი რჩება ჩოხხხი ანუ გამონაწური, რომელსაც „აშენებული“ ხევსურები საქონელს აჭმევს, „მჭიდრო“ ხევსური-კი ურევს პურში ერთად და ისე სჭამს. ნავში გასულ წვენს ხუთი წამის შემდეგ ხელ-ახლა აქცევენ იმავე ქვაბში და იმდენსავე ხანს ადუღებენ, სანამ სამი-ოთხი თითის დადებაზე არ ჩაიდუღებს. სანამ მეორედ წამოდუღდება უშვრებიან სანელებლად სვილის ბალახს (სვიას) და სათუარს. აქაც ზომა აქვთ გადაკვეთილი:—სვიას იმის ნახევარს უშვრებიან რაც ქერია. როცა ის წვენი ამ მიცემულ სანელებელთან ერთად კარგად ჩაიხარშება,—ასე ოთხი თითის დადებაზე, როგორც ვსთქვი,—მაშინ გადმოსდგამენ ცეცხლიდან და სწურავენ იმავე ნავში, რომელსაც იმ ჟამად დასტი აქვს გადაფარებული, რომ შიგ წმინდა წვენი გავიდეს და დასტზე დარჩეს გამოხარშული სვილი-ბალახი. თუ მეორე დუღილის შემდეგ კარგად ჩაიდუღა და წყალიცა და სვილის ბალახიც ზომაზე აქვს მიცემული, მაშინ ლუდი კაი სისქისა და გემოსი დგება, თუ არა და ბევრიც რომ ადუღოთ, არა გამოვა-რა.

ტემპერატურას დუღილის დროს ზომიერს ამჯობინებენ, რადგანაც გადამეტებული სიცივე, როგორც სითბო—მავნეა, მათის აზრით, ლუდისათვის. ასე, რომ ყინულს სრულიად არ ახმარებენ ლუდს ხარშვის დროს და ქვაბის თავიც ღიაა. ლუდს ხევსურები უფრო ზამთრობით ხარშავენ, რადგანაც ზამთრობით, როგორც მოცლილი ხალხი, ხშირად იციან ერთმანერთთან სტუმრად მისვლა და აბა, დროების გასატარებლად მასპინძელი სტუმარს ლუდზე კარგს რას მიართმევს? გარდა მაგისა, ხევსურთა დიდი უქმეები, მაგალითად: ახალი წელიწადი და მათი ადათები, როგორც მიცვალებულთა რიგები, სულთა კრება და სხვა—ზამთრობით იცის. ზაფხულის სიცხე ხომ ერთობ ავნებს და ამიტომ ნაკლებად ხარშვენ.

დამზადებულ ლუდის წვენს ნავიდან აქცევენ შესანახად „კოდებში“, ე. ი. მთლიან ხიდან გამოჭრილ ბოჩკებში (იმ გარჩევით, რომ ბოჩკას კალთები მრგვალი გამოწვეული აქვს, კოდს-კი—სწორე). გაძლებით ლუდი ბევრს ხანს ვერ სძლებს. თუ მეორე ჭურჭელში (ისევ კოდში) არ გადიდეს ერთ და იგივე ჭურჭელში ხევსურული ლუდი ერთ კვირაზე მეტს ვერა სძლებს. თუ გადიდეს,—და ერთ-ორ თვეზე მეტსაც გასძლებს. ხევსურული ლუდი მუქი ფერისაა. ამნაირ ფერის ლუდი მათში მიჩნეულია, როგორც კაი ღირსებისა. გემოთი უფრო მომწაროა, თუნდა გემო ტკბილ ლუდსაც ხშირად შეხვდებით.

თვისებით ხევსურული ლუდი უფრო სქელია. საზოგადოდ უნდა შევნიშნოთ, რადგანაც ხევსურებს, გერმანელებსავით, ბაზრად არ გააქვთ ლუდი და მარტო თავიანთთვის ხარშვენ, არავითარ სიყალბეს, გამოხდის დროს ადგილი არა აქვს ამათში. პირ იქით, ეჯიბრებიან ერთმანეთს: აცა, ვინ უფრო უკეთეს გამოხდისო, და თითქმის თითებზე ჩამოსთვლიან ხოლმე იმ ოჯახებს, რომელთაც კარგი თვისების ლუდი აქვთ ხოლმე. „უწკუაათკან 4) კა ლუდ ხქონდ,“ „ზემო სოფელბი შომიაც 5) კა 6) ლუდ იცის“, და სხვა ამ ნაირ მსჯავრს სდებენ ამა თუ იმ ოჯახის სასარგებლოდ.

კარგი თვისება კი დამოკიდებულია,—ჯერ ეს ერთი,—ზომიერ ხარშვაზე, და უფრო.კი იმაზე, რომ ხევსურები ცალ-ცალკე ხარშავენ ქერსა და სვიის ბალახსა და არა ისე როგორც, მაგალითად, ოსები, რომელნიც ერთად ხარშავენ ერთმანეთში არეულს ქერსა და სვიის ბალახსა. ამიტომაც არის, რომ ოსური ლუდი ხშელი გემოსია, ე. ი. მარტო სვიის ბალახის გემო უდის, ხევსურული ლუდი-კი რბილა, სასიამოვნო გემოსია რადგანაც ხარშვა ზომიერი აქვს.

(შემდეგი იქნება)

---

1) ფქვავენ.
2) არის.
3) გადის.
4) მეტი გვარია—ნამდვილი გვარი ქინქარაულია.
5) კარგი.
6) მამა-კაცის სახელია.

ჩვენებური ამბები

სოფ. იანეთი (იმერეთი). „უკვდავების წყაროო“, რომ იტყვიან, სწორედ აქაურ პარკის ფულზედ ითქმება და კიდევაც სულზედ მოუსწროდ ჩვენს ქალებს ეს ფული. ფასიც კარგი ჰქონდა, ფუთი პარკი ჩვიდმეტ თვრამეტ მანათზედ ნაკლებ არ გაუიდულა და მეტადაც ბევრი გაიყიდა. ამ ფულის საშუალებით ბევრი ახალი სამკაული შეიძინეს ჩვენმა ქალებმა. ახალგაზდა ქალი არ დარჩენილა იმისთანა, ქმრიანი თუ საქმრო, თითო ყვავილიანი შლიაპა არ შეეძინოს!

ბევრმა სხვაფრივაც გამოიყენა პარკის ფული და გამოასწორა თავისი საქმეები.

მოსავალს ჯერ-ჯერობით ნაკლები პირი უჩანს ჩვენს სოფელში და ვნახოთ, რა გამოვა რისაგან.

არ. იანეთელი.

ბორჩალო. სწორედ წრეულს უნდა დატრიალდეს ღვთის თვალი ჩვენშიო,—გაისმის მთელ ბორჩალოში. მთლად აქაური მცხოვრებნი აუწერელ სიხარულს მისცემიან. მოსავალს პირი ძიდერ კარგი უჩანს; თითქო ამინდიც განგებ შეურჩიესო; როცა წვიმა უჭირს,—წვიმა მოდის; როცა დარი,—დარი დგას.

წლეულ აქეთ საუცხოვო იქნება უთვალავი მოსავალი: ხილისა, პურისა, ქერისა და, როგორც ეტყობა, ღვინისა კიდევ უფრო უხვი იქნება.

ბორჩალოელი.

რუსეთი

ნოვოჩერკასკში ახლად სცენაზედ გამოსულს მსახიობთ, ქალსა და კაცს, ერთმანეთი შეჰყვარებიათ. მსახიობ ვაჟს უთქვამს ქალისათვის,—მოსკოვში მივდივარ და სამუდამოდ იქ დავრჩებიო. ეს სიტყვები ვაჟს იმიტომ უთქვამს, რომ გამოეცადა ქალი,—მართლა ვუყვარვარ თუ არაო, მაგრამ... ქალს ვერ აუტანია ეს სიტყვები და კარბოლის სიმჟავის საშუალებით მეორე დღესვე ყოველი ანგარიში გაუსწორებია სიცოცხლესთან. გაუგია ეს ამბავი ვაჟს გ.—ს და იმ ღამესვე თავი მოუკლავს.

— ამას წინად სოფ. ნიკიტოვკაში (კორსუნის მაზრა) მცხოვრებს ზეინკალს მარკაზოვს შემდეგი მხეცური მკვლელობა ჩაუდენია: მოუკლავს საწვრილმანო დუქნის პატრონი ქალი გრუზკოვისა, 47 წლისა, მისი ძმისწულები: ანტონინა, 8 წლისა და ნასტია —5 წლისა. მარკაზოვი შესულა გრუზკოვის საწვრილმანო დუქანში და მოუთხოვია თამბაქო. გრუზკოვისა მიბრუნებულა თამბაქოს ჩამოსაღებად და ამ დროს ზეინკალს ათ გირვანქიანი გირა უთხლეშია თავში; საბრალო ქალს თავის ქალა გაუსკდა და ტვინი გადმოსდინდა, რის გამოც იქვე ხმის ამოუღებლად განუტევა სული. ზეინკალი მიჰვარდნია იატაკზედ მდებარე უსულო გვამს და რამდენჯერმე კიდევ დაურტყამს გირა ისედაც ბოლო მოღებულის თავისის მსხვერპლისათვის; მერე ჩაუკეტია შიგნიდგან დუქნის კარები და შევარდნილა ოთახში, სადაც ეძინათ გრუზკოვის ძმისწულებს. ხმაურობისაგან გამოუღვიძნია ანტონინას, მაგრამ მარკოზოვი მიჰვარდნია და იმისთვისაც გირა დაუკრავს თავში და მოუკლავს; უმცროს დას, ნასტიას გამოჰღვიძებია და რომ დაუნახავს გასისხლიანებული მარკაზოვი და თავისი საყვარელი და მკვდარი, შეჰშინებია და ტირილით დაუწყია ხვეწნა მუდარა მარკოზოვისათვის: „მოლოდ ნუ მცემ, ნუ მომკლავ და ღმერთი გამიწყრეს, თუ ვინმეს ვუთხრაო“. გაშმაგებულ მარკაზოვს ისიც იქვე მოუკლავს. შემდეგ გაუტეხია გასალები და ყუთში უნახავს მხოლოდ 25 კაპ. ორის დღის შემდეგ მარკაზოვის ცოლს პოლიციისათვის გამოუცხადებია, რომ ამ მკვლელობის ღამეს ჩემი ქმარი შინ არა ყოფილა და დილას რომ დაბრუნდა, ხელები სისხლში ჰქონდა მოსვრილიო. 6 ივნისს 7 მღვდლის თანდასწრებით დაუმარხავთ მარკაზოვის მსხვერპლნი. სამგლოვიარო პროცესიას ათასობით ხალხი მისდევდა. იმ იმედით, რომ მკვლელი აღელდება, როდესაც თავის მსხვერპლი ჰნახავს დამარხვის დროს, რადგან ამით ჰსურდათ გამოეტეხათ, თვითონ მარკაზოვიც დაისწრეს, მაგრამ ის ოდნავადაც არ აღელვებულა და მიჰმართა იქვე მდგომ მაყურებელს ხალხსა და მღვდლებს და შემდეგი უთხრა: „რა მხეცური ბოროტმოქმედება მოუხდენიათ აქ! როგორი მხეცი და ველური უნდა იყოს მკვლელი, რომ ამ ნაირი საქმე ჩაიდინოს. მე არასოდეს არ ვიზამდი არამც თუ ამისთანა სიმხეცეს, არამედ თვით უმცირესსაც-კი“. თუმცა ადგილობრივ მან უარ ჰყო თავისი დანაშაული, მაგრამ ციხეში მაინც გამოტყდა და დაწვრილებით უამბო ყველაფერი გამომძიებელს.

— შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებით, გუბერნატორს და მაზრების თავად-აზნაურთა წინამძღოლთ უნდა შეადგინონ საგუბერნიო და სამაზრო კომისიები ადგილების მორწყვისა და გაშრობის საკითხის განსახილველად.

— რუსეთის ერთი გუბერნიის ერობა შუამდგომლობდა საერო განათლების სამინისტროს წინაშე იმ გარდასახადისაგან განთავისუფლების შესახებ, რომელსაც ერობა ყოველ წელს იხდის სასოფლო სამინისტრო სკოლების შესანახად. სამინისტრომ უარჰყო ერობის შუამდგომლობა.

— ციმბირის გაზეთებში აწერილია ირკუტსკის გუბერნიაში დასახლებულ ბურიატების სამწუხარო მდგომარეობა. გარდასახადი, რომელიც ამ ღარიბ ხალხს ჰხვდება, ყოველ წელს მატულობს, მათი ცხოვრების სახსარი-კი იმდენად მცირეა, რომ იძულებულნი არიან თივა გაჰყიდიან და თავისი საქონელი მარტო ბზით გამოჰკვებონ. ამას მოჰყვა საქონლის შემცირება, უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ბურიატების საქონლის რიცხვი განახევრებულა.

უცხოეთი

ბულგარია. „[illegible]“-ის სოფიელი კორესპონდენტი შემდეგს იუწყება სამთავროს შინაურ მდგომარეობის შესახებ:

„თუმცა საგარეო საქმეები ბულგარიისა ა ჟამად დიდს განსაცდელშია, მაგრამ სხვა-და-სხვა დასთა ურთიერთობა მაინც მეტად გამწვავებულია. ყველაზედ უფრო შეუპოვრა ოპოზიცია ჰმოქმედობს და არავითარ ღონისძიებას არა ჰზოგავს, რომ როგორმე სძლიოს მოპირდაპირეთ, რომელნიც განაგებენ სამთავროს სვე-ბედსა. ოპოზიციაში მონაწილეობენ ცანკოვის მომხრენი, რომელთაც გადაწყვეტილი აქვთ მედგრად შეებრძოლონ პეტროვ-პეტკოვის სამინისტროს და დასცენ სტამბულოვის დასის წარმომადგენელნი; გარდა ამისა ოპოზიციას თვით მთავარ ფერდინანდზედაც არ უყვავის გული. როგორც ვუწყით, ყოფილი მინისტრ-პრეზიდენტი დანევი ცანკოვის დასის მეთაურია. სამსახურიდგან გასვლის შემდეგ დანევი თვით ხელმძღვანელობს ცანკოვის დასის გაზეთს „ბულგარიას“ და საოცრად ჰკიცხავს ეხლანდელს მთავრობასა და განსაკუთრებით მთავარს. მთავარმა უკანასკნელ სადსარს მიჰმართა: გაუგზავნა დანევს საიდუმლო კაბინეტის უფროსი დობროვიჩი და სთხოვა,—მცირეოდენ ხათრი და რიდი მაინც იქონიე შენის მონარქისა, ნუ მეპყრობი მაგრე უდიერადაო; დანევმა აღუთქვა,—ზომიერებას არ გადავსცილდებიო, მაგრამ მას შემდეგ უფრო მკაცრადა დაუწყო მთავარს კიცხვა.

ცანკოვის დასის მოქმედებამ გასჭრა: დიდის ყოყმანის შემდეგ მთავარი დასთანხმდა ეხლანდელს კაბინეტსა და შესცვალა კანონი მოხელეთა შესახებ. ამ კანონის ზოგიერთ მუხლის შეცვლა მიმართულია თითქმის მხოლოდ ცანკოვის დასის წევრთა საწინააღმდეგოდ, რადგან ეხლა შესაძლოა სამსახურიდგან დათხოვნა ადმინისტრაციის ან პოლიციის ყოველ მოხელისა; რასაკვირველია, ცანკოვის დასის მომხრე მოხელენი უფრო ადვილად იქმნებიან დათხოვნილნილნი სამსახურიდგან.

გაზ. „ბოლგარია“-ში ამ კანონ-ცვლილებათა გამო მეტად მკაცრი წერილია დაბეჭდილი მთავრის წინააღმდეგ. გაზეთი, სხვათა შორის, იგონებს თუ როგორ მოიქ მთავარი ფერდინანდი 1877 წელს რუს-ოსმალთა ომიანობის დროს, (მაშინ იგი კობურის პრინცი იყო): ფერდინანდი წევრი იყო უნგრეთის ახალგაზრდა ჯგუფისა, რომელი ბულგარიის განთავისუფლების წინააღმდე ჰმოქმედებდაო. გაზეთი ამბობს, კერძო ცვლილება კანონებისა „შეუწყნარებელი დანაშაულია კონსტიტუციის წინაშეო“.

„მშვენივრად ახასიათებს ბულგარიის შინაურ მდგომარეობასაო,—დასძენს კორესპონ-

ქართველები რუსეთში.

ისტორიული მასალა.

(ვუძღვნი იმერეთის ეპისკოპოზს ლეონიდე*)).

II

რუსეთში გადასახლებულ სასულიეროთა შორის, ყველაზე უფრო ღირს შესანიშნავი და საგულისხმიერო მანგლისის ეპისკოპოზის იოანეს ცხოვრება იყო. „უბედურ ვარსკვლავზედ დაბადებულიო“, რომ იტყვიან სწორედ ამაზედ ითქმოდა. როგორც ჩვენში, ისე რუსეთშიაც ბედი არ სწყალობდა ამ წმ. მამას. იგი იყო შთამომავლობით კეთილ-შობილი, სცხოვრებდა გარესჯის უდაბნოში, იქვე აღიკვეთა ბერათ და ღვთის ლოცვა-დიდებაში ატარებდა დროს. მეფე ბაქარმა სთხოვა ეპარქიის მართვა-გამგეობა, მაგრამ რადგან ქვეყანა საშინელ გაჭირვებულ მდგომარეობაში იყო თათრების შემოსევით, ვერ გაჰბედა ასეთი მძიმე მოვალეობა ეკისრნა და ამ უდაბნოდგან იძულებული იყო ხირსის უდაბნოში გადასულიყო. დიდ ხანს სცხოვრებდა და მოძღვრებდა აქაც, მაგრამ არც ამ გვარ მოღვაწეობით დაკმაყოფილდა. უდაბნოს თავი დაანება და ქადაგება—მოძღვრებას მიჰყო ხელი. შეიმოსა ღვთის სიტყვა-ქადაგებით და გაუდგა გზას—დაღესტნის მიდამოებში ღვთის სიტყვის საქადაგებლად. დაბინავდა ქ. დარუბანდს, სადაც 1727 წ. ფელდმარშალის დოლგორუკოვის შემწეობით ააგო ჯერ ხისა და შემდეგ ქვითკირის ეკკლესია*). ასტრახანში მღვდელთ-მთავარი იოანნე დარუბანდიდგან გადმოვიდა. უწმ. სინოდის უქაზის ძალით ებრძანა მთელის თავისის კრებულით გადმოსულიყო ასტრახანში და წმ. სამების მონასტერში დაბინავებულიყო. ეპ. იოანნეც ასე მოიქცა. მოვიდა ასტრახანში და ამ ზემოხსენებულ მონასტერში დაბინავდა და გაჰმართ ყველაფერი რიგზედ. მის გარშემო დაბინავდ ეპისკოპოზის კრებული: მღვდლები, დიაკვნები და მათი ოჯახები, განგებ მათთვის გაკეთებულ სახლებში, მაგრამ რადგან არც პური და არც მონასტრის მდგომარეობა არ მოსწონდა ყ-დ სამღვდელო იოანნეს, დიდ ხანს აქ აღარ დარჩენილა. მაშინდელ მღვდელთმთავარს ყ-დ სამღვდელო ილარიონს მიმართა თხოვნით, რათა დაეთმო მისთვის ქალაქს გარეშე ცარიელი მიწა და ნება მიეცა აეგო ი ეკლესია. ყ-დ სამღვდელო ილარიონმა დიდი სიამოვნებით დააკმაყოფილა იოანეს თხოვნა, მისცა ცარიელი ადგილი ეკლესიის ასაგებად ძ თან ყ-დ სამღვდელო იოანეს საცხოვრებელ სახლების გასამართავი ადგილებიც მიუმატა. ამ გვარ გარემოებით გახარებული ძ ღვთაებრივ სამსახურის სურვილით აღტყინებული ყ-დ სამღვდელო იოანნე შეუდგა ეკკლესიის აშენებას; ააგო ღვთის მშობლის სახელზე ხის ეკლესია და გამართა ეკლესიის ახლო ბინებ თავისთვის და თავის კრებულისათვის. 2 ივლისს 1744 წ. აცნობა უწმ: სინოდს, რომ ამა და ამ ადგილას ეკლესია ავაშენეო და გთხოვთ, ეს ეკლესია დღიდგან მონასტრად იწოდებოდესო. უწმ. სინოდმა მიიღო ე ცნობა, მაგრამ, რადგან არ იცოდა, ვის ნება-რთვით აშენდა ეს ეკლესია, ან რა საშუალება ჰქონდა ამ ეკლესიას, მოსწერ ასტრახანის ეპისკოპოზს ილარიონს, რომ ეკლესია იწოდებოდეს ყ-დ სამღვდელო იოანეს სასახლის ეკლესიად და არა მონასტრადო. ამ გვარის პასუხით ყ-დ სამღვდელ იოანე კმაყოფილი არ დარჩა და ხელმეორედ შეუდგა ამ საქმის გამობრუნებას. მეცა თხოვნა და აუხსნა, სინოდს თუ რა მოსაზრებით ავაშენე ეს ეკლესია და

---

*) იხ. „ივერია“, № 143.
*) თხზ. მურავიოვისა—Груз. и Арменія ч. I. стр. 140.

ფელეტონი

მეზობლები.

(ამბავი გურიის ცხოვრებისა).

— ჩვენი გოჭი ხომ მოუკლავს ბაგრატას!.. ნეტაი ჩვენც არ ამოგვხოცავდეს, თვარა გოჭს ვინ ჩივა!—ჩაილაპარაკა გულ-მოსულმა ნინომ, როცა მისი ქმარი ივანე, დაღალულ-დაქანცული ყანიდგან საღამოს სახლში დაბრუნდა.

— ასე იცის, ბერიკაცს რომ თავს დააჯაბნიეფ და არაფერს ეტყვი,—კიდევ უფრო გულ-საკლავად წამოისროლა ივანეს მეუღლემ და ცეცხლს შეუკეთა, რომ სავახშმო ლობიო უხარშავი არ დარჩენილიყო.

— რაიო?! გოჭი მოგვიკლაჩ! ხუმრობ თუ დასთურ ჩივი?!—არ სჯეროდა ივანეს.

— აღარ მეასვენა მაგ დასახრჩობმა? კარგი, ვნახოთ, რაფერ უნდა მოკლა. თუ კაცი ვყოფილვარ არ შევარჩენ და მოვანაღვლეფ ჩემ გოჭის სიკვდილს,—დაქადნებით სთქვა გულ-მოსულმა ივანემ და ნაღვერდალში თუთუნით სავსე ჩიბუხი ამოუსვა.

— აგი რეიზა არ იცი, დაბალ ლობეთ რომ გნახვენ ყველა ასე გადაგჯეკნის!.. წახთა დროი, თავი კალთაში არა კაცს არ უნდა ჩაუდვა!..—დაუმატა ნინომ, ხოლო ივანე კი ჩიბუხით პირში იდუმალ ფიქრებს მიეცა.

ბაგრატი ორმოც-და-ათისა თუ ორმოც-და-თუთხმეტის წლის ყოჩაღი ბერიკაცი იყო. ცოტა არ იყოს ჰაჰყანა*) იყო, როგორც ეძახდნენ მეზობლები და თან, მოხუცებულებაში რომ შევიდა, ისე გამიზეზდა, ჩიტის გაფრენაც-კი ეჯავრებოდა თავის ეზოში.

— აბა, მაგენიზა მიკლავს მე თავი, იმიზა ჩამიქცევია ოფლი, სხვისმა ხვადაგმა*) შექამოს მეთქინ!.. ცოცხალს არ გადაუშობ გადალმა, იტყოდა ხოლმე ბაგრატი, როცა მეზობლის ოთხფეხს ან ფრინველს დაინახავდა ეზოში. რასაც ამბობდა, ხშირადაც ასრულებდა. არა ერთხელ და ორხელ მოუკლავს მეზობლისათვის ბატი, ინდოური, გოჭი ან სხვა რამ წვრილფეხი.

— დამთხუონ და ქე იქნება—ამბობდა გაცეცხლებული ბაგრატი, როცა თხა, ან სხვა რამ პირუტყვი ჩამოეპარებოდა ეზოში და ნამყენებს ან ვენახს გაუფუჩქებდა.

ასეთის საქციელისათვის ბაგრატს რამდენიმე მეზობელი მომდურებულიც ჰყავდა.

— ღმერთო, ჩქარა გადაგვაცალეო,—სწყევლიდნენ მეზობლის ქალები.

ბაგრატს ერთად-ერთის შვილის მეტი არა გააჩნდა-რა და ისიც ფულის საშოვარზე იყო წასული; სახლში მხოლოდ ისა და ათის წლის მობარებული ქალი შვილი სცხოვრობდა. მაისის ერთს დღეს ბაგრატი მეზობელმა ნადზე დაჰპატიჟა და საღამომდის სახლში არ დაბრუნებულა; საღამოს-კი, კარგა შებნელებული იყო, როცა ეზოს ჭიშკარს მიუახლოვდა; ამ დროს სახლიდან მობარებულ ქალის ხმა მოესმა. ეუბნებოდა ვიღაცას: „ნადზე გახლავს, ბატონო, და ჯერ არ მოსულაო“. ბაგრატმა იფიქრა, ალბად ვიღაც სტუმარიაო და აჩქარებით დაუძახა:

— არ შეგეშინოს, ცავ, მეც აგერ მოვდივარო.

ამის შემდეგ, არ გაუღვამს ხუთიოდე ნაბიჯი, რომ ბაგრატს კბილებში მოხვდა ჯოხი და კბილები ჩაამტვრია.

— ვაიმე, მომკლესო—დაიძახა სასოწარკვეთილმა მოხუცმა და მხარზე გადებული თოხი მოპირდაპირეს პირ-და-პირ თავში დაუშვა. თოხი ვერ მოხვდა მოპირდაპირეს და ამ დროს ბაგრატს ორჯელ კიდევ მაგრად სთხლიშეს გზის ჯოხი, ერთი თავში და მეორე—ყურის ძირში. ბაგრატმა იქვე ჩაიკეცა.

გაისმა სახლში პატარა ქალის შემზარავი კივილი და ამ გარემოებამ მეზობლებს თავი მოუყარა; კარი შიგნიდან ჩაკეტილი იყო. შიშით ქალი ველარ აღებდა. ყველას ეგონა, ბავშვს ცეცხლი მოსდებიაო. სახლის კარი მოჰგლიჯეს, მაგრამ მოსამსახურე პატარა ქალი უვნებლად დაუხვდათ.

— რა ამბავია, რა დაგემართაო?—ყველანი ერთხმად ეკითხებოდნენ.

— ბაგრატი მოკლესო,—ქვითინით ძლივს სთქვა შეშინებულმა ქალმა და კარში გამოვარდა.

— ვინ მოკლა, სად მოკლა,—კითხულობდნენ გაოცებული მეზობლები და ეზოში დარბოდნენ. ბოლოს სანათიც გამოიტანეს და სულთ-მობრძავი მოხუცი ხის ძირას ჰნახეს. ენა ჩავარდნოდა და სულს ლაფავდა.

— მღვდელი, მღვდელიო,—დაიძახეს, მაგრამ გვიან-ღა იყო, ბაგრატი გაცივდა კიდეც.

ასს სულამდის ქალი და კაცი შეგროვდა. საშინელმა სანახაობამ ყველანი შეაწუხა.

— სირცხვილი, თავლაფ-დასხმა მაგის მკვლელს!—გაიძახოდნენ მეზობლები.

— სირცხვილი.... თავლაფი....—ჩასძახოდა რაღაც იდუმალი ხმა იქვე ხალხში მდგომ ივანეს და გაფითრებული ბაგრატის სისხლით შეღებილ თეთრს წვერსა და თმას მისჩერებოდა.

მესამე დღეს ბოქაულიც მოვიდა, საქმე გამოიძია და ეჭვი ივანეზე მიიტანეს; ივანე იმ დღესვე იქმნა დაპატიმრებული.

ს. რემონიძე.

---

*) ჰაჰყანას გურიაში იმ კაცს ეძახიან, ვინც მუდამ დაობს და ხმამაღლა ლაპარაკობს.

*) ხვადაგი საქონელი, ოთხფეხი.

დენტი ზემოხსენებულ გაზეთისა,—ის გარემოება, რომ ამ ერთის თვის წინად მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ ყოფილი კაცი ასე მოურიდებლად ჰკიცხავს და ჰლანძღავს თავის მონარქს. ცხადია, რომ ცანკოვის დასი ხელახლა შეუდგა თავის ძველს პოლიტიკას, რომლისაგანაც კარგს არას უნდა მოველოდეთო“.

გერმანია. გერმანიის გაზეთობას დიდი მსჯელობა აქვს იმის შესახებ, თუ რამდენად მოსახერხებელია, რომ რეიხსტაგის ვიცე-პრეზიდენტის ადგილი სოციალ-დემოკრატთა დეპუტატმა დაიკავოს.

კონსერვატიული გაზეთობა დიდს წინააღმდეგობას აცხადებს,—არამცა და არამც არ მიეცეს სოციალისტთა დასის წარმომადგენელს რეიხსტაგის ბიუროში ადგილიო. ცენტრის გაზეთობა იმ აზრისაა, რომ სოციალ-დემოკრატის ვიცე-პრეზიდენტად არჩევა მეტად გაართულებს და გააძნელებს რეიხსტაგის საქმეებსაო. გაზეთი „ფრანკ ზეიტუნგი“-ი ამბობს,—პალატის უმრავლესობა არ დასთანხმდება, რო სოციალისტმა დაიკავოს რეიხსტაგის ვიცე-პრეზიდენტის ალაგი და, გარდა ამისა, თვით სოციალ-დემოკრატთა დასსაც არა ჰსურს, რომ მათი წევრი რეიხსტაგის ბიუროში მოჰყვესო. სოციალისტებმა კარგად იციან, რომ ვიცე-პრეზიდენტის ადგილის ხელში ჩაგდება მეტად ძვირად დაუჯდებათ, ამიტომ არც-კი სცდილობენ მოიპოვონ ეს ალაგიო.

შერთებული-შტატები. ამერიკელ ადმირალ ევანსის მოხსენების გამო—ჩინეთში დიდი მღელვარებააო, ჩრდილო-ამერიკის შერთებულ შტატთა მთავრობა, გაზ. „ტიმე“-ს სიტყვით, პეჩილის სრუტეში დიდძალ სამხედრო გემს უყრის თავსაო.

ადმირალ ევანსის განკარგულებაში იქნება სამი ესკადრა. ერთს მათგანს თვით უფროსობს, დანარჩენს ორსა—ადმირალები კუპერი და სტერლინგი. ეს სამი ესკადრა შეიცავს 15 სამხედრო გემსა.

პარიჟიდგან ბათუმამდე.

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

წერილი პირველი.

პარიჟ-ლიონის რკინის გზის სადგური! ელექტრონის ფანრები ბრწყინვალედ ანათებს მატარებლის ვაგონების რამდენსამე ჩამონწელებულ რიგს. ღამე გამოვემგზავრე პარიჟიდან მარსელისაკენ, რომ აქ ჩავმჯდარვიყავ „მესსაჟერი მარიტიმე“-ს საზოგადოების გემ „ორტეჰალ“-ში, რომელიც პირდაპირ მარსელიდან ბათუმში მოდიოდა.

საფრანგეთის რკინის გზის სადგურები უმეტეს შემთხვევაში დიდად განირჩევიან რუსეთის სადგურებისაგან. რადგანაც საფრანგეთის ყველა თვალსაჩინო რკინის გზას ორი ლიანდაგი აქვს გზაში შემხვედრ მატარებლების გზის ასაქცევად, ამიტომ თითოეულის მათგანისათვის ცალკე ბაქნებია აგებული ერთი-ერთმანეთის პირდაპირ. ამ გვარად, გამოსვლის დროს ვაგონების ერთს განსაკუთრებულს მხარეზედა ხართ, სახელდობრ იქ მდგომ მატარებლის მარჯვნით. დანარჩენი დიდი და დასრულებული რკინის გზის სადგურები-კი წარმოადგენენ ვეებერთელა ასო „N“-ს, სადაც ორივე პარალელური ბაქნები შეერთებულია მასთან ერთ სიგანეზედ მიმოსვლის გასაუმჯობესებლად.

მატარებელი, რომლითაც უნდა წამოვსულიყავი, გამოვიდა საღამოს 10 საათზე და ამის გამო პარიჟიდგან ლიონამდე, სადაც მე განვიზრახე ჩამოხდომა, მომიხდა 512 კილომეტრის გავლა ღამით. ამას არა ვნანობდი, რადგანაც არა ერთხელ მევლო ამ გზაზედ და ამასთანავე პარიჟიდგან დიჟონამდე გზა მაინცა და მაინც საყურადღებო სანახავს არას წარმოადგენს, მეტადრე იმისთანა ქვეყნის შვილისათვის, რომელსაც არ შეუძლიან თავი იქოს თვისის კულტურულის მიწად-მოქმედებით, სადაც აუარებელი ნაყოფიერი მიწის სივრცე სრულიად შეუმუშავებელია. სასიამოვნო სანახავია პარიჟისა და ბურგონიის მინდვრები და ბოსტნები თავის სამაგალითო ნამუშავარით. სასიამოვნო სანახავია სერები, თავიდგან ბოლომდე ვაზებით დაფარული; საამური სანახავია შემუშავებული მიწის დიდი სივრცე; ვერსად ვერ ნახავთ ერთი ბეწვა მიწის ცარიელს ნაჭერს მოუხვნელ-მოუთესელს; ყველგან დაცვალული ბოსტნებია, გაწმენდილი ყოველისავე ნაგავ-ბალახისაგან. შემდეგ ბოსტნები იცვლება მინდვრებით, რომელსაც გეომეტრიულად სწორე საზღვრები აქვს და ზედ საამოდ ბიბინებს ყანები; იქვეა ბაღები, ამწვანებული ჭალები და სხვა. საამოა ნახოთ ყველა ეს ერთხელ, რომ საკმაო წარმოდგენა იქონიოთ ამ ქვეყნის გარეგნობაზედ; თუმცა ყოველივე ესე არა ერთხელ მინახავს, მაგრამ მაინც ძლიერ გული დამწყდა, რომ პარიჟიდგან ღამით მომიხდა წამოსვლა და ერთხელ კიდევ არ დავსტკბი ამ მშვენიერ მიდამოთა ხილვით.

მატარებელი, რომლითაც მე მოვდიოდი, მთელს გზას პარიჟიდგან მარსელამდე, 862 კილომეტრს, გადის 16 საათის განმავლობაში, საშუალო სიჩქარით 54 კილომეტრს საათში. საზოგადოდ, საფრანგეთში მატარებლები სწრაფად დადიან; თუმცა ბევრგან ძრიელ ნელაც დადის. ის მატარებლები, რომელთაც არა აქვთ ადგილობრივი მნიშვნელობა და ჩერდებიან მხოლოდ დიდ ქალაქების სადგურებზედ, ძლიერ ჩქარა დადიან; მაგალითად, ყველაზედ უფრო სწრაფი მატარებელი პარიჟსა დ მარსელს შუაა, რომელსაც მეტად განსაზღვრული აქვს გზაში შეჩერების რაოდენობა, გადის 862 კილომეტრს 11 საათში. სამაგიეროდ, ის მატარებლები, რომელნიც ყველა პატარა სადგურზედ ჩერდებიან და რომელთა რიცხვიც, საფრანგეთის მკვიდრთა სქლად დასახლების გამო, ძლიერ ბევრია, ხშირად ისე ნელა მიდიან, რომ საათში 20 კილომეტრს მეტს ვერ გადიან.

საფრანგეთის მატარებლები, რომელთაც დიდი უპირატესობა აქვთ რუსეთის მატარებლებზედ სწრაფის მოძრაობით, ძლიერ ჩამოუვარდებიან რუსეთისას იმით, რომ მგზავრთათვის იმდენად მოხერხებული არ არის, რამდენადაც უკანასკნელნი. განსაკუთრებით არ ემარჯვებათ მგზავრთ ძველი აგებულობის ვაგონები. ახალი აგებულობის ვაგონები მგზავრთა საჭიროებისათვის უფრო კარგად არის მიწყობილი. ვაგონებს მრავალი კარები აქვს და თუმცა ამის გამო ზამთრობით ტემპერატურა ძლიერ დაბლა იწევს, მაინც ამავე დროს ხელს უწყობს ვაგონებში მგზავრთა თავისუფალ შემოსვლა-გასვლას, რაიც ფრიად კარგია საფრანგეთის რკინის გზებზედ, რადგანაც აქ მატარებლები სადგურებზედ დიდხანს არ ჩერდებიან.

საფრანგეთის რკინის გზებზედ მოძრაობა დიდია, მეტადრე ისეთ მთავარს ლიანდაგზედ, როგორიც არის პარიჟსა და მარსელს შორის გაყვანილი ლიანდაგი. აქ მეტად გაცხოველებულია მგზავრთა მიმოსვლა.

რკინის გზა პარიჟსა და მარსელს შუა ეკუთვნის კერძო საზოგადოების ამხანაგობას (კომპანიას), ყველაზედ უფრო შესანიშნავს მთელის საფრანგეთის რკინის გზის საზოგადოებათა შორის. ამ კერძო საზოგადოებათ ეკუთვნით თითქმის საფრანგეთის ყველა დანარჩენი რკინის გზები, გარდა ერთის პატარა სახელმწიფო რკინის გზის ლიანდაგისა.

უდიდესი რკინის გზის საზოგადოებანი საფრანგეთში ექვსია. ამ ექვსს საზოგადოებას გაუყვია ერთმანეთ შორის საფრანგეთის მთელი რკინის გზები და საზოგადო ინტერესების სახელით მკაცრად უპყრიათ გადაწყვეტილი ტერიტორიალური საზღვრები. ამ საზღვრებს არც გადააცილებენ ხოლმე და ერთმანეთის მეტოქეობასაც ყოველის მხრით უფრთხიან. ყველაზედ უდიდეს საზოგადოებად, როგორც ლიანდაგის სივრცით, ისე შემოსავლითაც, ითვლება საზოგადოება, რომელსაც ეკუთვნის პარიჟ-მარსელს შორის გაყვანილი ლიანდაგი. ამ საზოგადოებას სახელად ეწოდება „პარიჟ-ლიონისა და ხმელთ-შუა ზღვის საზოგადოება“. მის საკუთრებად ითვლება 9,000 კილომეტზედ მეტის სიგრძის რკინის გზა. წმიდა შემოსავალი შემოსდის წელიწადში 200 მილიონი ფრანკი (75 მილიონი მანეთი) დ ხშირად მეტიც. მაგრამ „პარიჟ-ლიონისა და ხმელთა-შუა ზღვის საზოგადოებას“ შემოსავლის მხრივ მხოლოდ მეორე ადგილი უჭირავს; პირველი ადგილი-კი შემოსავლის მხრივ უჭირავს „ჩრდილოეთის საზოგადოებას“, რომლის გზებიც საფრანგეთის ჩრდილოეთ დეპარტამენტებშია, სადაც ყველაზედ უფრო განვითარებულია ვაჭრობა მრეწველობა.

საზოგადო მნიშვნელობით-კი მაინც პირველი ადგილი უნდა დაითმოს „პარიჟ-ლიონისა და ხმელთა-შუა ზღვის საზოგადოებას“. ეს დიადი გზა პარიჟიდან მიდის მარსელში და გაივლის ლიონს, სადაც მე პირველად ჩამოვხდი.

ვ. ხუდადოვი.

ს. ქვიშხეთი.

თეატრი და ხელოვნება

იმერეთი. დადგა გაზაფხული და პროვინციებში იწყეს წარმოდგენების მართვა სცენის მოყვარულებმა. წარმოდგენები იმართება ამა, თუ იმ საქველ-მოქმედო აზრით. მაგრამ ეს წარმოდგენები უფრო ხელოვნების შელახვაა. არც გასაკვირველია ეს. დახელოვნებული, მცოდნე რეჟისორი არა გვყავს პროვინციებში. არ გვყავსან ისეთი სცენის მოყვარულნიც, რომელთაც ხერიან არტისტებისთვის მაინც ეყურებინათ.

რაც შეეხება ჩვენს დრამატიულ ლიტერატურას, ის ხომ მეტად ღარიბია და თან ისეთი პიესებითაა სავსე, რომლის პროვინციებში თამაშობა მოუხერხებელია და ძნელი. ხოლო ვოდევილები და ვოდევილისებური კომედიები უფრო აძლუნგებენ ხელოვნების გემოვნებას, ვიდრე ემსახურებიან მის განვითარებას. ყველა ამას დაუმატეთ ის თავაშვებულება, რომელსაც სცენის მოყვარულთა უმრავლესობა იჩენს. თეატრი ამათ სამასხარაო მოედნათ და არა ხელოვნების ტაძრად. დასვრილ და დათითხნილ ფეხით შედიან იქ, სადაც სისპეტაკე და ზნეობა პირველი მოთხოვნილებაა. ჭუჭყიანი ხელი თარეშობს იქ, სადაც კრძალვა უნდა მეფობდეს. ყველა დოყლაპია ვაჟ-ბატონი თავისუფლად გრძნობს თავს სცენაზედ. ამას წინად, შემთხვევით დავესწარი ერთს ასეთს წარმოდგენას, მაგრამ, რომ არ დავესწრებოდი, უფრო მადლობელი ვიქნებოდი. ვინ იცის, რამდენი პიესა არ წარმოადგინეს ერთად! ზოგი მეტად აჭარბებდა, ზოგმა-კი როლიც არ იცოდა, ზოგნი სცდილობდნენ უშნოურ და უსირცხვილო სიტყვებით ხალხი გაეცინებინათ და რამდენჯერმე იმეორებდნენ ერთ და იმავე უსირცხვილო სიტყვებს. ის-კი ავიწყდებოდათ, რომ სცენაზედ იყვნენ და ასეთი სიტყვა-პასუხი ჯერ ერთი რომ ხალხს ზნეობის მაგივრად, უზნეობას ასწავლის და მეორედ—სცენას გაფე-შანტანად ჰხდიან. ასეთი წარმოდგენები სულ რომ არ იმართებოდეს, ის სჯობია ბევრად, რადგანაც ხალხისთვის ვნების მეტი არაფერი მოაქვს.

Allience.

ნარკვევი

იმაზედ უარესი არა არის-რა, “ როგორც წაკითხულის გაუგებლობა. ამნაირის სენით არის შეპყრობილი თითქმის პროვინციალურ გაზეთების უმეტესობა და მათ შორის „ახალ მიმოხილვას“ პირველობის კვერთხი უნდა დაეთმოს! ამ დღეებში ამ გაზეთმა თავის ფურცლებზედ გამოაცხადა, რომ, როგორც ნამდვილად შევიტყეთ, გაზ. „Петерб. Вѣд.“ რედაქტორად, განზრახულ ველიჩკოს კანდიდატურის მაგივრად, ინიშნება პიატი კ. სლუჩევსკიო. ჩვენმა გაზეთმა ეს ცნობა სიხარულით გადმოიღო და თან დაუმატა, რომ „კ. სლუჩევსკი კარგა ხანს ოფიციალურ გაზეთ „მთავრობის მოამბის“ რედაქტორად იყო და, როგორც ამბობდნენ, მოხუცებულობისა გამო თავი დაანებაო“.

გაიგეთ, ბ-ნებო, „როგორც ამბობდნენო“, ვწერდით ჩვენ და არა პირდაპირ „მოხუცებულობისა გამო თავი დაანებაო“! საიდგან გამოიყვანა „ახალ მიმოხილვამა“ ეს დასკვნა, ვითომ ჩვენი რედაქცია იმ აზრისა იყოს, რომ კ. სლუჩევსკის „პეტ. ვედ.“-ის რედაქტორად დანიშვნა მოხუცებულობისა გამო არ—შეეფერისო. საკვირველ, ძრიან, უცნაურო, საქმენი შენის ხალხისანი! [illegible] პატრონი რედაქცია წაკითხულს გაიგებდა და ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ ამბის შემდეგ, თუ საჭიროდ დაინახავდა იმაზედ პასუხის მიცემას, ყოველ შემთხვევაში ფაქტებს არ გადაამახინჯებდა; აბა ვინ მოიფიქრებდა, რომ რომელიმე ადგილობრივი გაზეთის რედაქცია, ჩვენი გაზეთის აზრზედ ეჭვს შემოიტანდა და იტყოდა: „ივერიას“ ძლიერ სწყენია, რომ „პეტერბ. ვედ.“-ის ველიჩკოს მაგივრად კ. სლუჩევსკის ხელში გადადისო“.

—

გაზ. „Орлов. Вѣст.“-ში ედ. პავჩინსკიმ აღძრა კითხვა პროვინციელ ჟურნალისტების კრების შესახებ.

ყველასათვის ცხადია, რა დიდი მნიშვნელობა ექნება ჟურნალისტების შეთანხმებას საერთო ინტერესებისა და საურთიერთო დახმარების ნიადაგზედ,—ამბობს ბ-ნი პავჩინსკი,—პრაქტიკულად-კი კრებას, სხვათა შორის, შეუძლია მიაქციოს ყურადღება და რამე მოუგვაროს „რუსეთის ტელეგრაფის სააგენტოს“, რომლის ტელეგრამები ცნობილნი არიან უშინაარსობით და ცნობების სიმცირით. კრება განიხილავს აგრეთვე საკითხს პეტერბურგში და მოსკოვში თავისი საკუთარი განცხადებათა სააგენტოს დაარსების შესახებ. დღეს არსებული კერძო სააგენტოები საბრალონი და შემავიწროებელნი არიან პროვინციალურ ჟურნალ გაზეთებისათვის. სხვა საყურადღებო საკითხი, რომელიც კრებამ უნდა განიხილოს შემდეგია: პრესსის დამოკიდებულება საზოგადო ცხოვრებასთან და მასში მონაწილეობა. პრესსისა და თვითმართველობის ორგანოთა შორის დამოკიდებულების განწესრიგება, რედაქციების შინაგანი ორგანიზაცია, უთანხმოებანი საზოგადო მოღვაწეთა და გაზეთების რედაქციათა შორის და სხვა.

—

გაზ. „Русск. Вѣд.“-ში დაბეჭდილია ცნობილი მწერლის ვ. კოროლენკოს მოგონებანი ბედკრულ სერბიის მეფის ალექსანდრეს შესახებ.

კოროლენკო ხერსონში ყოფილა, სადაც იმ დროის ნაშთებს სთხრიდნენ; ვიდაც იქაურ ბერს ეთხოვნა დამსწრეთათვის, თავისი გვარები ჩაეწერათ წიგნში. ყველამ აასრულა მისი თხოვნა. შემდეგ კოროლენკოს წაუკითხავს ჩაწერილი გვარები. სხვათა შორის, იქ ეწერა რუსულად: „Натала.“ სერბიის დედოფალი რუმინელი ქალია, თუმც რუსეთშია დაბადებული, მაგრამ რუსული ენა-კი არ იცის. რადგან რუსეთს ესტუმრა, რუსული ასოებით დაწერა თავისი სახელი, მხოლოდ ბოლოში „я“-ს მაგივრად „a“ დაწერა.

ნატალიას სახელის ქვემოდ ეწერა მსხვილი

მინდა, რომ იგი მონასტრად იწოდებოდესო, სხვათა შორის მოახსენა სინოდს, რომ, „მე მსურს ეს ეკლესია მონასტრათ იწოდებოდეს, პირველად, იმ მიზეზისა გამო, რომ ჩემთან არიან არქიმანდრიტები, ბერები, მღვდელ-მონოზნები და სხვანი, რომელნიც, როგორც სხვა რუსეთის მონასტრებში, ისე აქაც, ჩემ სიკვდილს შემდეგ მონასტერში დარჩებიან და ლოცვა-კურთხევით მოიხსენიებენ მათ იმპერატორებითს უდიდებულესობასაო. მეორედ იმიტომ, რომ ამ ეკლესიაში, რომელიც ჩემის შრომითა და კეთილ კაცთა შემწეობით არის აღშენებული, მსურს სიკვდილს შემდეგ, აქვე განისვენოს ცოდვილმა ჩემმა სულმა და აქ ვიყო დასაფლავებული.“

ამ მეორე თხოვნის გამო უწმ. სინოდმა მოსწერა ყ-დ სამღვდელო ილარიონს დაუყოვნებლივ ეცნობებია სინოდისათვის თავისი აზრი იმის შესახებ, არის თუ არა შესაძლებელი დავაკმაყოფილოთ იოანნეს თხოვნაო და მისი ეკლესია მონასტრად დავაწესოთო. თუ შესაძლებელად მიგაჩნია, რა მოსაზრებით მიგაჩნიაო და სხვანი *). ყ-დ სამღვდელო ილარიონს ქართველების მხარე ეჭირა და ყოვლად სამღვდელო იოანნეს მოღვაწეობას კეთილის თვალით უყურებდა. ამიტომ დაუყოვნებლივ აცნობა უწმ. სინოდს, რომ იოანეს სასახლის ეკლესია, შესაძლებლად ვპოვებ, იწოდებოდეს მონასტრად შემდეგის მოსაზრებითაო. ერთი რომ ეს ეკლესია, სწორედ, მონასტრის გეგმაზედ და მოთხოვნილების შესაფერ არის აგებული, ესე იგი, ამ ეკლესიას გარშემო პატარ-პატარა სენაკნი, საბერო სახლები აქვს გაკეთებული, სადაც დღესაც სდგანან და სცხოვრობენ ბერები. მეორე, ის ქართველები, რომლებიც დიდისხნით შეპყრობილნი არიან თათრებისაგან და შემდეგ განთავისუფლებულები, მხოლოდ აქ შოულობენ ბინას, იხსენებენ დავიწყებულ სარწმუნოებას და ღვთის მსახურებას; აქ კიდევ მხოლოდ ყ-დ სამღვდელო იოანეს შეუძლია თავის დედა-ენაზედ ქადაგებით და მოჰლვრებით გამოაბრუნოს, დააყენოს ჭეშმარიტს გზაზედ გზა და კვალ დაბნეულნი აქ მოსულნი ქართველნიო.

ამგვარი აზრი მოიწონა სინოდმა და ყ-დ სამღვდელო იოანეს სასახლე ეკლესია მონასტრად დაჰნიშნა; უფროსობა და ყოველივე განკარგულება ყ-დ სამღვდელო იოანეს მიანდო. ამგვარად დაგვირგვინდა ყ-დ სამღვდელო იოანეს თხოვნა და სურვილი. ყ-დ სამღვდელო აღტაცებული იყო სიხარულით, მაგრამ მალე მწუხარება დაერთო ამ სიხარულს. 1747 წ. 23 ივლისს მოვიდა უკაზი, რომლის ძალითაც ყ-დ სამღვდელო იოანეს სასახლე ეკლესია მონასტრად იქნა ცნობილი. იმავე წლის აგვისტოს 30-ს გაჩნდა ცეცხლი და მთელი ამდენის ხნის ნაშრომ-ნაღვაწი მონასტერი და მასთან აგებული საბერო სახლები სულ მთლად ცეცხლის მსხვერპლი შეიქმნა. გადაარჩინეს მხოლოდ საეკლესიო სამკაული, ხატები და შესამოსელი, დანარჩენი ყოველივე ცეცხლის ალმა შთანთქა. ამ ადგილის მაგიერ მთავრობამ მეორე ადგილი აძლია ყ-დ სამღვდელო იოანეს, მაგრამ ასტრახანში დარჩენა აღარ ისურვა და ყიზლიარში გადასახლდა. ყიზლიარში ყ-დ სამღვდელო იოანეს გარდა ბევრი სხვა ქართველებიც სცხოვრობდნენ იმ დროს. აქ ყ-დ სამღვდელო ისევ მხნედ შეუდგა მონასტრის აშენების საქმეს და აგვისტოშივე მეორე წელს, ესე იგი 1748 წ. მისცა უწმ. სინოდს თხოვნა, მომეცით ნება ასტრახნის მაგიერ ახალი ეკლესია ავაგო ყიზლიარშიო. სთხოვა აგრეთვე, მომეცით მონასტრის ახლოს თავისუფალი ადგილები მღვდელ-მონოზნებისა და ბერებისათვის საცხოვრებლადაო, მაგრამ ამ თხოვნამ თითქმის წელიწადზედ მეტი დაიგვიანა. მაშინ ყოვლად სამღვდელო იოანემ ხელ-მეორედ გაახსენა უწ. სინოდს თავისი თხოვნა და ნახევარ წლის შემდეგ მოვიდა უარი. ამან ძრიელ შეაწუხა ყოვლად სამღვდელო, მაგრამ სულით მაინც არ დაცემულა. სინოდის უარმა ვერ მოუსპო იმედი. მეორე წელს კიდევ ითხოვა და კიდევ უარი მოუვიდა. მეორედ სინოდი სწერდა, თუ საჭიროება მოითხოვს, ეგ ძველი მონასტერი გაადიდე და შეაკეთეო. ადგილი საცხოვრებლად უნდა მისცემოდა იმდენი, რამდენიც საჭირო იყო საქართველოდგან გადმოსულ ქართველებისათვის. ადგილობრივ გუბერნატორს ისე უნდა გაენაწილებინა მათ შორის ეს ადგილები, რომ არც მეტი და არც ნაკლები არ მისცემოდათ სანამ ეს მიწერ-მოწერა გათავდებოდა, ყოვლად სამღვდელო იოანემ ამ ჯვართ-ამაღლების მონასტერთან თავისუფალ ადგილას კიდევაც ააგო სახლები და მოიმზადა ხის მასალა დანარჩენ სახლებისათვის. მისი თხოვნა, თუმცა დაკმაყოფილებული იყო უწმ. სინოდისაგან, მაგრამ ისე არა, როგორც ყოვლად სამღვდელო იოანეს სურდა. მისი სურვილი იყო, ახალი მონასტერი აეგო და იოანე ნათლის მცემლის სახელობაზედ ეკურთხებინა. ამ აზრის განსახორციელებლად მიჰმართა თხოვნით იმ დროს შესანიშნავს და ქ. მოსკოვში მყოფ ყოვლად სამღვდელო იოსებს, სამებიელს არქიეპისკოპოზს, რათა დაჰხმარებოდა ამ საქმეში და უწმ. სინოდისაგან მიეღო ნება ყიზლიარში ახალ მონასტერის აგებისა. ყოვლად სამღვდელო იოსებს დიდად ესიამოვნა ეს ამბავი, იცნობდა ყოვლად სამღვდელო იოანეს კეთილ და ღვთის მოსავ ადამიანად და თითონ პირადად მიიქცა უწმ. სინოდში და ითხოვა ყოვლად სამღვდელოს თხოვნა დაეკმაყოფილებინათ და თან დასძინა: თუ ყოვლად სამღვდელო იოანეს არ მისცემთ ახალ მონასტრის აგების ნებას, მე,მოხუცებულს მღვდელმთავარს მაინც მომეცით ნება, რათა წავიდე ჩემის კრებულით ქ. ყიზლიარში და ყოვლად სამღვდელო იოანესთან ერთად ავაგო ეკლესია იმ ადგილას, სადაც დღეს ყოვლად სამღვდელო იოანეს ხის სახლები და საბერო ბინები აუშენებიაო. ყოვლად სამღვდელო იოსების თხოვნას სინოდმა პატივი სცა, დააკმაყოფილა მოხუცი მღვდელ-მთავარი და მისცა ნება ეცხოვრა ყოვლად სამღედელო იოანესთან ერთად ქ. ყიზლიარში. გახარებული ყოვლად სამღვდელო იოსებ სამებელი მოემზადა სამგზავროდ და წამოვიდა ყიზლიარში, მაგრამ უეცრივ გახდა ავად და ქალაქ სარატოვში პირველ სექტემბერს 1750 წელს გარდაიცვალა. მისი გვამი გადმოასვენეს ქ. ასტრახანში და 28 სეკდემბერს 1750 წ. დაასაფლავეს მიძინების ეკლესიაში. 28 მარტს 1751 წ., ესე იგი, რამოდენისამე თვის შემდეგ ყ-დ სამღვდელო იოანნეც გარდაიცვალა ყიზლიარში. ყ-დ სამღვდელო იოანნემ დასტოვა ანდერძი, რომელშიც სთხოვდა მთავრობას ნება მიეცათ, იმისი გვამი სიკვდილს შემდეგ ისევ მის სამშობლო საქართველოში წაესვენებინათ და იქ მისვე აგებულ მონასტერში დაესაფლავებინათ, მაგრამ არც სიკვდილმა უშველა ყ-დ სამღვდელოს. არც აქ შესრულდა იმისი თხოვნა. სიკვდილის დღეს მონასტრის არხიმანდრიტმა მოახსენა ადგილობრივ ეპისკოპოზს, რადგან არც გზები და არც ამინდი გვაძლევს ნებას, რომ ყ-დ სამღვდელო იოანეს გვამი საქართველოში წავასვენოთ, მოგვეცით ნება, აქვე მონასტერში დავასაფლავოთ და წესისამებრ პატივი ვცეთ მის ხსენებასაო. ეს საქმე ადგილობრივმა მღვდელთ-მთავარმა ვერ გადასწყვიტა; მან უწმ. სინოდს აცნობა და სინოდმა დააკმაყოფილა ეს თხოვნა დ თან დასძინა, რომ ყ-დ სამღვდელო იოანნეს გვამის საქართველოში წასვენების დროს მიეცეს ნება წაჰყვმენ თან გვამს მხოლოდ ის ქართველნი, რომელნიც ისურვებენ, ძალ-დატანებით-კი ნურავის ნუ გაატანთო. უწმ. სინოდის გარდაწყვეტილებამ ძრიელ გაახარა მთელი მაშინდელი ქართველობა და ყ-დ სამღვდელო იოანნეს ძმამ, ნიკოლოზ სააკაძემ გადმოასვენა მიცვალებულის გვამი და დაასაფლავა ტფილისს სიონის ტაძარში. როგორც ვიცით სახალხო გადმოცემით უკანასკნელი მეფე საქართველოსი გიორგი ხშირად ახდევინებდა ხოლმე ამ წმ. მამის საფლავს და მუხლ მოდრეკილი თავის ოჯახობის განსაკურნებლად თაყვანსა სცემდა ხოლმე მის წმინდა ნაწილებს.

როგორც ყ-დ სამღვდელო იოსებმა, ისე იოანნემ სიკვდილს შემდეგ დასტოვეს ანდერძი, რომლის ძალითაც მთელი მათი მოძრავი ქონება საქართველოს ღარიბ მონასტრებსა და ეკლესიებში უნდა დარიგებულიყო. მათი ქონება იყო საეკლესიო წიგნები, ხატები, სახარების და სხვა-და-სხვა საეკლესიო ნივთები. ადგილობრივმა ეპისკოპოზმა არ იცოდა, რანაირად მოქცეულიყო ამ შემთხვევაში, რადგან მაშინდელ კანონმდებლობაში ამის შესახებ არაფერი არ იყო ნაჩვენები. ამის გამო მიიქცა უწმ. სინოდში და ითხოვა, აეხსნათ, რანაირად უნდა მოქცეულიყო ამ შემთხვევაში, რადგან მემკვიდრე-ძმა იოანნესი სააკაძე თხოულობს ანდერძის შესრულებასაო. უწმ. სინოდმა მოსწერა ყ-დ სამღვდელო ილარიონს, რადგანაც არც საჭირო ჩვენთვის ქართული საეკლესიო წიგნებ და, არც ანდერძით არის ჩვენთვის დატოვებული, დაუყოვნებლივ მიეცით ნება წაიღონ და დაარიგონ საქართველოში თანახმად ყ-დ სამღვდელო იოანნეს სურვილისა, ამ უკაზის ძალით ყველა ეს ნივთები წამოიღო სააკაძე საქართველოში და დაურიგა აქაურ ღარი მონასტრებსა და ეკლესიებს.

თ. ხუსკივაძე.

(დასასრული იქნება)

---

*) უკაზი უწმიდეს სინოდისა 1744 წ. № 1854.

ასოებით მოყვანილი, გამოუცდელი ხელით, უხერხულად დაწერილი სახელი „А-л-а-к-с-а-н-д-а-р ъ“. ამ სიტყვაში რამდენიმე შეცდომა იყო. იგი დასწერა სერბიის მეფემ ალექსანდრემ, რომელიც იმ დროს 13 წლისა იყო და თავისი სახელიც ვერ დაესწავლა რიგიანად. ორი წლის შემდეგ-კი მან რეგენტები დაატუსაღა, თავისი თავი სრულ-წლოვანად გამოაცხადა და მთელი ქვეყნის მმართველი შეიქმნა!

წერილი
რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენის გაზეთის საშუალებით ნება მიბოძოთ ჩემი გულწრფელი და უღრმესი მადლობა გამოვუცხადო ქუთაისის მცხოვრებს აზნაურს ბესარიონ დავითის ძეს საყვარელიძეს, რომელმაც კეთილ ინება და ჩემდა რწმუნებულს დილიკაურის ღვთისმშობლის დარიბ ეკკლესიას შემოსწირა ოდიკი, ღირებული ხუთ მანეთად.

დილიკაურის ღვთისმშობლის ეკკლესიის მღვდელი
ბესარიონ ვაშაძე.

„ივერიის“ ფოსტა

რაჟდენს. თქვენი ლექსი «რამ დამაღონა» არ დაიბეჭდება.

კენტს. თქვენი „სიზმარი“ არ დაიბეჭდება.

რ. გ—ია. თქვენი წერილი „ცნ. ფურც“-ის ფელეტონის გამო არ დაიბეჭდება.

გ. ს. მ—ძეს. თქვენი საპასუხო წერილი არ დაიბეჭდება. მაგგვარი პასუხი უკვე იყო დაბეჭდილი ჩვენს გაზეთში.

დეპეშა
(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

2 ივლისი.

რომი. ბიულეტენი დილის 9 საათზედ: „პაპის ჯანმრთელობის საზოგადო მდგომარეობა არ შეცვლილა“.

სტამბოლი. კუკუშის რამდენმამე მაზრის ბულგარელთა სოფლებმა რომის კათოლიკეთა სარწმუნოება მიიღეს.

ჟენევა. მთავრობის საბჭომ დაამტკიცა ბრძანება იმის შესახებ, რომ ნება დაერთოს ერცჰერცოგად ყოფილს ლეოპოლდ ველფლინგს ჟენევაში ჯვარის დაწერისა.

დრეზდენი. „Dresdener Journal“-ს ოფიციალურად ატყობინებენ, რომ თანხმად კრონპრინცესად ყოფილის ლუიზას შუამდგომლობისა მეფემ უბოძა მას გვარი და ტიტული გრაფინია მონტინიოზოსი.

სევასტოპოლი. სევასტოპოლის საბჭომ ერთხმად აირჩია საპატიო მოქალაქედ ევგენი ვასილის ძე ბოგდანოვიჩი, რადგან გულით უყვარს სევასტოპოლი და სცდილობს მეფის მოყვარეობა და სამშობლოს სიყვარული განამტკიცოს ხალხის გულში.

3 ივლისი.

პეტერბურგი. „პრავიტ. ვესტ.“-ში დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება საზღვაო უწყების სამედიცინო მოხელეთა ჯამაგირების ტაბელის შეცვლისა და დადგენილება იაროსლავში 1903 წ. მოწვეულ ცეცხლისაგან დაზღვევის კითხვების შესახებ.

რომი. პაპის საზოგადო ჯანმრთელობის მდგომარეობაში მთელის დღის განმავლობაში არავითარი ცვლილება არ მომხდარა. ძალღონეს წინანდელზედ უფრო სისუსტე არ შემჩნევია, მაჯა და ტემპერატურა თითქმის შეუცვლელი აქვს.

პეტერბურგის ბირჟა, 1 ივლისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,80
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	37,32½
ლონდონში ჩეკები	94,45
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	37,60
პარიჟის დისკონტი	6—6½%
4% სახელმწიფო რენტა	98⅜ გაყიდ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	100⅜ მყიდ.
4% გირავნ. ფურც სახელ. საადგ. მამულო ბანკის	95⅝ მყიდ (?)
5%ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	446½ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	339 გაყ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	290 გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	91⅜
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	92½ გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	101 წვ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	92¼ წვ. გაყ.
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	9300 წვ. გაყ.
აქციები ,, ,, ,, ,,	465. წვ.
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	—
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	185½ წვ. გაყ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა 18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით.)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს; 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ.; 2) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № 90/91 შუადღის 12 ს. 38 წ.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № 9/10 დილის 6 ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 11 ს. 22 წ.; 2) საფოსტო № 4 საღამოს 10 21 წ. 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ.

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკეობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 4 ს. 40 წ. 2) საფოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ.; 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 01 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 23 წ.

ბათუმისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 2 ს. 28 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

შორაპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

განცხადება

იძლევა ქირით

თავად-აზნაურთა ქარვასლაში, სასახლის ქუჩაზე:

ოთხი ოთახი

მესამე სართულში, სადაც სათავადაზნაურო დეპუტატთა საკრებულო იყო

ერთი მაღაზია

„ივერიის“ რედაქციის კანტორის გვერდზე;

საწყობები

სხვა-და-სხვა ადგილას, ზემო და ქვემო სართულში.

პირობების შეტყობა შეიძლება თავად-აზნაურთა ქარვასლის გამგე კანტორაში. (4—166—1)

ახალი იაფ-ფასიანი წიგნები.

ჟურნალ „**მოგზაურის**“ რედაქციაში ისყიდება შემდეგი იაფ-ფასიანი წიგნები:

1. **წერილი სოფლელ მუშას**, ფ. 5 კ.
2. **ყელ-ჭირვება** ანუ დიფტერიტი, ფ. 5 კ.
3. **მეცნიერების დედა-აზრი**, ფ. 5 კ.
4. **ძველი რწმენა-წარმოდგენები და მეცნიერება**, ფ. 5 კ.
5. **რა არის გონებითი გახსნა-განვითარება**, ფ. 5 კ.
6. **პურის ზოსვანი** ანუ მოყვანა პურისა ჩინურ-იაპონურის წესით, ფ. 7 კ.
7. **ბავშვების გონიერი მოვლა** ანუ რისგან იხოცებიან ბავშვები უდროვოდ, ფ. 5 კ.
8. **დანაშაულობა—დამნაშავენი** და ახალი საბრძოლველი საშუალებანი, ფ. 5 კ.
9. **მეურნეობა და ახალი სკოლა**, ფ. 5 კ.
10. **შინაური ფრინველების**: ქათმების, ინდაურების, ბატების, იხვების და ხოხბების მოვლა-მოშენება, სურათებით, ფ. 15 კ.
11. **რა არის დოსტაქრობა** (ხირურგია) ანუ როგორ არჩენენ ექიმები დანით, ფ. 5 კ.
12. **„მურია“**, სურათებით, საყმაწვილო მოთხრობა, ფ. 5 კ.
13. **თვით-მასწავლებელი რუსულის ენისა** ქართულის ენის შემწეობით, სურათებით, ფ. 20 კ.
14. **სულით ავათმყოფი მოსწავლენი**, ფ. 5 კ.
15. **ხეხილის გამრავლება და მოვლა**, სურათებით, ფ. 7 კ.
16. **მეფე ლამზა**, საყმაწვილო მოთხრობა, სურათებით, ფ. 7 კ.
17. **საუნჯე ავათმყოფისა**, ანუ აღწერა და წამლობა ყოველ-გვარ ავადმყოფობისა, ფ. 15 კ.
18. **საუნჯე მეურნისა**, ანუ აღწერა, მოვლა და გამრავლება, გამოყენება ყოველ-გვარ ხეხილისა, ბუჩქისა და უბრალო ხეებისა, ფ. 15 კ.
19. **მთვრალობა** და მის წინააღმდეგ საბრძოლველი საშუალებანი, ფ. 15 კ.
20. **ცხვრის ყვავილი**, ფ. 5 კ.
21. **ქვეყნიერების მასალა** ანუ მატერიის ქიმიური რაობა, ფ. 7 კ.
22. **ქართული სახალხო სამეცნიერო წიგნები**, ფ. 5 კ.
23. **გმირი როლანდი**, მოთხრობა მოზრდილთათვის, ფ. 10 კ.
24. **დრო გონს მოვიდეთ!** ანუ ლოთობის წინააღმდეგ, ფ. 10 კ.
25. **მეთევზის შვილი**, სურათებით, საყმაწვილო ზღაპარი, ფ. 10 კ.
26. **ხტუნია-ციყვუნია**, სურათებით, საყმაწვილო წიგნი, ფ. 10 კ.
27. **ლინჰარდი და გერტრუდა**, პედაგოგიური მოთხრობა პესტალოცისა, ფ. 10 კ.
28. **ცივილიზაციის ისტორია ინგლისში**, ბოკლისა, ფ. 40 კ.
29. **შიო—თავადი**, ლეგენდა ლექსად, ფ. 10 კაპ.
30. **ცხენის წურბელა**, მოთხრობა ხალხის ცხოვრებიდამ, ფ. 10 კ.
31. **მაჭმადი და ცხოვრება-მოქმედება**, სურათებით, ფ. 10 კაპ.
32. **როგორ ცხოვრობენ ჩინელები**, ფ. 10 კ.
33. **დარვინიზმი**, პირველი და მეორე წიგნი, ფ. 20 კ.
34. **სიფრთხილეს თავი არ სტკივა** ანუ საქონლის ჭირის შესახებ, ფ. 5 კ.
35. **აღზრდა შვილისა**, თხზ. ბემესი, ფ. 15 კ.
36. **ტყის გონიერი მოვლა-გაშენება**, ფასი 10 კაპ.
37. **ახალი წესი ვენახების გაშენებისა საქართველოში**, ფ. 10 კ.
38. **საქონლისათვის საკვები ბალახების თესვა-მოყვანა**, სურათებით, ფ. 20 კ.
39. **სარკე გურულთა ცხოვრებისა**, ფ. 5 კ.
40. **ისტორია სწავლა-აღზრდისა**, ფ. 10 კ.
41. **ალბომი „ქართველთა ტომი“**, ასი მეტი სურათით, ფ. 70 კ.
42. Новая народная школа и основы ея развитія и существованія, ფ. 5 კ.

ვინც ერთის მანეთისას ანუ მეტისას გაიწერს, გაგზავნის ხარჯს რედაქცია კისრულობს. მანეთზე ნაკლები ხვედრი ფული შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს და ფოსტის ხარჯათაც სამ-სამი კაპეიკი წაემატოს თვითოეულ დაბარებულ წიგნზედ.

ადრესი: Тифлисъ, Редакція „Могзаури“ Ивану Павловичу Ростомашвили. ტფილისში მცხოვრებთ ადგილობრივ წიგნთსავაჭროებშიაც შეიძლება იყიდონ.

(10—1)

ქუთაისში.

ს. მ. ზ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლისაგან.

მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის ტფილისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში სულ ორმოცდა ექვსი (46) ვაკანსია არის პირველ განყოფილებაში (7 და 8 წლის ყმაწვილისათვის) სხვა განყოფილებებში და გიმნაზიურ კლასებში **არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის** და ამიტომ არც თხოვნები მიიღება ამ კლასებში ყმაწვილების მისაღებად.

46 ვაკანსიიდან—45 დანიშნულია გარედან მოსიარულეებისათვის და 1 საზოგადოების სრულ ხარჯზე.

საზოგადოების ნახევარ ხარჯზე ჯერ არც ერთი თავისუფალი ადგილი არი არის და შესაძლებელია სექტემბერში, ხელ-მეორე გამოცდის შემდეგ, გაიხსნას.

ვინც საზოგადოების სრულს ხარჯზე იქნება მიღებული, იმას არაფერი ხარჯი არ მოეთხოვება და ვინც ნახევარ ხარჯზე—უნდა იხადოს წელიწადში ათ-ათი თუმანი. ვისაც სურს მიღებული იქმნას საზოგადოების სრულს ხარჯზე, იმან უნდა წარმოადგინოს თხოვნასთან ერთად შემდეგი საბუთის ქაღალდები: ა) წლოვანობის მოწმობა, **მიღებული სინოდალურ კანცელარიისაგან**, ბ) სიღარიბის მოწმობა მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლისაგან და გ) ყვავილის აცრის და ჯანმრთელობის მოწმობა.

ვისაც გარედან მოსიარულეთ სურს შემოსვლა, იმისთვის საჭიროა იგივე საბუთის ქაღალდები, გარდა შეუძლებლობის მოწმობისა.

უკეთუ მთხოვნელთა რიცხვი აღემატება ვაკანსიების რიცხვს, იმ შემთხვევაში მსურველთ ადგილი დაეთმობათ წილის ყრით. წილის ყრაში მონაწილეობას მიიღებენ მხოლოდ ისინი, რომელნიც წარმოადგენენ საჭირო საბუთის ქაღალდებს და ამასთანავე ეგზამენსაც დაიჭერენ წლოვანობის შესაფერ კლასისათვის.

სკოლის გამგე კომიტეტი არ მიიღებს იმ ყმაწვილებს, რომელნიც არ წარმოადგენენ მათზე დარჩენილს წინა წლის ფულს და მომავალ სამოსწავლო წლის პირველ ნახევრის სწავლა-აღზრდის ფასსაც.

შესაძლებელია სექტემბერში, მოსწავლეების ხელმეორე გამოცდის შემდეგ, კიდევ გაიხსნას რამდენიმე ვაკანსია იმათთვის, ვინც სრულს საკუთარ ხარჯზე ისურვებს პანსიონში შემოსვლას, ან ნახევარ ხარჯზე.

ვინც საკუთარ ხარჯზე შემოვა პანსიონში, იმან უნდა შემოიტანოს წელიწადში ოცი თუმანი: ათი თუმანი შემოსვლისათანავე და ათიც იანვარში.

ვისაც თხოვნა აქვს შემოტანილი პირველ განყოფილებაში ყმაწვილების მიღებისა,—იმათ 31 აგვისტოსათვის უთუოდ უნდა მოიყვანონ სკოლაში ყმაწვილები ჯანმრთელობის შესამოწმებლად და ქართულ ლაპარაკში გამოსაცდელად.

თხოვნა უნდა შემოვიდეს აგვისტოს 20-მდის; ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თხოვნა უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Завѣдывающему Дворянской Школой, на Лабораторной улицѣ.

აგვისტოს 25—30 რიცხვებში ხელ-მეორე გამოცდა მოხდება ზოგიერთ მოსწავლეებისა. 1-ს სექტემბერს სწავლა დაიწყება.

დათხოვნილ იქნებიან აგრეთვე ის გარედან მოსიარულე მოწაფეებიც, რომელნიც სკოლაში მოსვლისათანავე არ წარმოადგენენ მომავალ 1903—1904 სამოსწავლო წლის ფულის ნახევარს.

ყველა პანსიონერის მშობლებმა უნდა წარმოადგინონ თავდებნი ტფილისში მცხოვრებთაგანნი, რომელთანაც სკოლის გამგეობას შეეძლოს მიმართვა, როგორც ფულის თავ-თავის დროზედ შემოტანისათვის, აგრეთვე სხვა შემთხვევაშიაც. (10—7)

ახალი წიგნები

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართ. წიგნის მაღაზიებში.

სოსიკო მერკვილაძის მიერ გამოცემული ახალი წიგნები:

სიმღერა აკაკისა. ფასი	15 ,,
თამარ მეფის სურათი აკაკის ლექსით	6 ,,
პატარა ჩონგური ლექსი (დედა-ენა).	5 ,,
თამარ მეფე მოთხრობა აკაკისა	5 ,,
ვაჟრული ჭკუა, ლექსი აკაკისა	5 ,,
დათუნა გოცირიძე **როსტომ ერისთავი** { ძველებური ამბავი აკაკისა	5 ,,
აბრამის და იობის ლექსი	3 ,,
ოქრუა (ხალხური ზღაპარი)	5 ,,
ორი ძოსატყუილა **ბიჭია მენახირე** **მეფე და სკვინჩა** { ხალხური ზღაპარი.	10 ,,

ვინც მოისურვებს ამ წიგნების სყიდვას ან დაბარებას, მიმართოს ტფილისში, ქვაშვეთის ქუჩაზე (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ) არჯევანიძის სახ. **ანნა მერკვილაძის ქალთა ტანისამოსის სამკერვალო მაღაზიაში.**

ვინც თვითოეულ გამოცემას იყიდის არა ნაკლებ ერთი მანეთისა, **ყოველ მანეთზე დაეთმობა თითო აბაზი.**

ადრესი ფოსტისა: **Тифлисъ, Георгіевская (Кашветская) ул., д. Аржеванидзе. № 12 модная мастерская Анны Мерквиладзе.**

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართ. შორის წ.-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

ქაჯანა

მოთხრობა ნ. ლომოურისა, ფასი 5 კაპ.

2.

ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოცემა შეიძლება ფასდადებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Общество распростр. грамотности.

„**გამოვიდა და იყიდება ყველგან**

„ქართვ. შორის წ.-კითხვის გამავრცელ. საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნი

ბარტექ ძლევამოსილი

ჰენრიკ სენკევიჩისა

IV+106 გვ. ფასი 20 კაპ.

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი,

„ჯეჯილი“

წელიწადი მეთოთხმეტე

გამოვა 1903 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორადაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია ტფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავად.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს 4 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან., ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **ტფილისში**—„წერა-კით. გამ. საზოგად.“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101) და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

ახალი წიგნი

Какъ улучшить Кавказскую народную школу (როგორ უნდა აღდგეს კავკასიონის სახალხო სკოლა), იაკობ გოგებაშვილისა. ისყიდება ტფილისში წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში, ქუთაისის მაღაზიებში და სხვაგანაც. ფასი ექვსი შაური (30 კაპ.) (6—უ—6)

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!

ჰიგიენური

ბორნო-ტიმოლის საპონი

პროვიზორის

გ. ფ. იურგენსისა.

აქრობს ჭორფლს, ნასიცხ—ყვითელ ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ ყველას, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი, ლონდონი 1893 წ.

ფასი თითო ნაჭერისა 50 კ. ½ ნაჭერი 30 კაპ.

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სახაფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობი გ. ფ. იურგენსთან, **მოსკოვში.** (40—6.—15)

სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე

ფარმაცევტთა ამხანაგობა

ტფილისში

(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ.

ტელეფონი № 741.

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად, დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების სააფთიაქო და ქიმიური საქონელი, მხ. წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებლი ნივთეულობა, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქის და ლაბორატორიისათვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ-სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები—სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ, და სხვ.

ადრესი ფოსტისა და დეპეშისა: Тифлисъ Товарищество Фармацевтовъ. (100—38)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 іюля 1903 г. Типографія Гутенбергъ“ (кн. Гр. Н. Діасамидзе). д. Груз. Дворянства. დროებით-რედაქტორი ზ. ყიფშიძე, გამომცემელი ა. ი ხარაჯიშვილი